ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7980492

ნომერი: AR11149515

თარიღი : 25.06.2026

გაცემის თარიღი : 29.06.2026

გაცნობის თარიღი : 29.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 1გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილ ლომსაძე პ/ნ 01019015694
- თბილისი სვანეთის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 25 ივნისს №AR11149515 განცხადებით მომართა ავთანდილ ლომსაძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის

№7976983 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებით შეთანხმდა №01.13.03.043.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებელი ითხოვს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებაში ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს - ღია ავტოსდგომების ფართობი 53 კვ.მ.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებით შეთანხმებულ ±0.000 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს 4 ღია ავტოსაგომი და მათი საერთო ფართობი შეადგენს 53 კვ.მ-ს. ამასთან, დგინდება, რომ 0.000 ნიშნულის გეგმა არ იცვლება, ზუსტდება მხოლოდ ღია ავტოსადგომების ზომები.
სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ 2025 წლის 21 სექტემბრის №AR11109686 განცხადებაზე წარმოდგენილი იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 6 თვეზე და სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2026 წლის 24 ივნისიდან 2026 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებაში და:
1.1. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 53 კვ.მ.
1.2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებით შეთანხმებული 0.000 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
1.3.ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 24 ივნისიდან 2026 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივნისის №7976983 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.